

ლუი დარტიგი

ფრანგული სანიტარული ქირურგიული მისია კავკასიაში

1917 წლის მარტში საფრანგეთის ჯანდაცვის სამინისტრომ (1869-1940) რამდენიმე ქირურგიული მისიის ხელმძღვანელი, საქართველოში 1917 წლის რევოლუციის დროს, 8 აგვისტოს ჩავიდა, 9 თვე იარსება და 1918 წლის 14 მაისს თბილისიდან სამშობლოსკენ გაენგზავრა. დარტიგის თხზულებიდან ჩანს, რომ რთული პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, იგი ძალიან კარგად იყო სოციალიზებული თბილისის საზოგადოებაში, სადაც „კეთილი კოსმოპოლიტიზმი“ სუფევდა: იქ იყვნენ რუსები, უკრაინელები, ბელორუსები¹, ქართველები, სომხები, თათრები, ბელგიელები, ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები და ა.შ. მისი თქმით, ეს იყო ცივილიზებული ჩვევების, დახვეწილობისა და თანხმობის ერთა ლიგა, სადაც გერმანულის გარდა, ყველა ენაზე ლაპარაკობდნენ, ერთმანეთს კი ფრანგულად ესაუბრებოდნენ.

L. Dartigues. La Mission Sanitaire Chirurgicale Française du Caucase. 1er Juillet 1917- 15 Juillet 1918. 45 Figures originales. Paris, A. Maloine & Fils, Editeurs, 1919

C'est ainsi que nous avons été appelés en consultation, à propos de cas difficiles ou de notabilités influentes, par les sommités à donner notre avis scientifique. Parmi eux — malheureusement je ne puis les citer tous – je garderai un souvenir précieux et plein de grande considération pour le savant Professeur Gourko, Directeur de l'hôpital Michel, à la fois clinicien consommé et bactériologiste éminent, du Professeur Ochman, grand conseiller technique de la Croix-Rouge qui est un opérateur très instruit et très habile, du Professeur Markewich, de l'Hôpital des Chemins de fer, le chirurgien le plus réputé de Tiflis, du docteur Sobiesianski, directeur de la Maternité qui est un hôpital magnifique, le gynécologue opérateur le plus éminent de la ville, dont la femme est d'origine française et qui garde avec un orgueil bien légitime la Croix de la Légion d'Honneur que Napoléon lui-même accrocha sur la poitrine héroïque de son arrière-grand-père; u D^r Toumanoff, également gynécologue, opérateur de premier ordre, du D^r Kimon, chirurgien de l'hôpital Michel, du jeune chirurgien Tchalchekian, de l'Institut Traumatologique, du Dr. Moukhadzé, chirurgien de l'hôpital temporaire de guerre de l'Hôtel Majestic, du Dr Michel Mzareouloff, dermatologiste éminent qui connaît à fond tous nos ouvrages français et à qui j'ai proposé de lui faire ouvrir les colonnes de la Presse médicale car il désirait faire connaître ses travaux en France, du Dr Piradoff, chirurgien habile, connaissant nos maîtres et nos hôpitaux de Paris, du jeune et distingué D^r Agassof, assistant du chirurgien Markewich, du neurologiste Pondoef, de l'ophtalmologiste Tarkowski, du savant praticien le Dr l'Oumikoff, etc., etc.. (62-63)

ჩვენ გვიწვევდნენ მძიმე მდგომარეობის ან გავლენიანი პირების შესახებ ჩვენი სამეცნიერო აზრის გამოსათქმელად. სამწუხაროდ, მათ შორის ყველას ვერ დავასახელებ, მაგრამ ძვირფას მოგონებად დამრჩება და დიდ პატივისცემას გამოვხატავ მიხეილის საავადმყოფოს დირექტორის, სწორუპოვარი კლინიცისტისა და გამოჩენილი ბაქტერიოლოგის, მეცნიერი პროფესორი – გურკოს, წითელი ჯვრის მთავარი ტექნიკური მრჩევლის, მეტად

¹ ტექსტში: „des Petits Russiens“. „მცირე რუსებში“ იგულისხმებიან უკრაინელები და ბელორუსები.
<https://dictionnaire.reverso.net/francais-definition/russienne>

განსწავლული და მეტად გამოცდილი ოპერატორის, – პროფესორი ოშმანის, რკინიგზის საავადმყოფოში მომუშავე თბილისის ყველაზე ხელოვანი ქირურგის – პროფესორი მარკვეიჩის, შესანიშნავი სამშობიარო სახლის დირექტორის, თბილისის ყველაზე ცნობილი გინეკოლოგის – ექიმი სობესტიანსკის², აგრეთვე გინეკოლოგისა და საუკეთესო ოპერატორის – ექიმი თუმანოვის, მიხეილის საავადმყოფოს ექიმის – კიმონის, ტრავმატოლოგიის ინსტიტუტის ახალგაზრდა ქირურგის – ჩალჩეკიანის, სასტუმრო „მაჟესტიკში“ მოწყობილი დროებითი სამხედრო საავადმყოფოს ქირურგის – ექიმი მუხადის, ცნობილი ექიმი დერმატოლოგის – მიშელ მზარეულოვის³, ხელოვანი ქირურგის – ექიმი პირადოვის⁴, ქირურგი მარკვეიჩის ასისტენტის, ახალგაზრდა და გამოჩენილი ექიმი აგასოვის, ნევროლოგი პონდოევის, ოფთალმოლოგი ტარკოვსკის, პრაქტიკოსი მეცნიერი ექიმი უმიკოვის მიმართ და ა.შ. და ა.შ.

Il y a beaucoup de doctoresses à Tiflis, instruites et expertes, sachant presque toutes le français, ayant fait, beaucoup, une grande partie de leurs études soit en France, à Montpellier surtout, qui est un centre scientifique à rayonnement oriental, soit en Suisse, à Genève et Lausanne. Je me souviendrai surtout des doctoresses Piradoff, Agassof, russes, Decanozoff, géorgienne, assistantes du gynécologue Sobiesianski, qui parlent le français avec une pureté que bien de nos compatriotes pourraient leur envier. Ces doctoresses qui occupent souvent des postes importants, dirigent des laboratoires, n'ont pas sombré dans l'enlaidissement professionnel du travail ingrat, elles n'ont pas l'aspect «savantasse» hybride, mais conservent tout leur charme féminin et il faut se laisser envoler avec elles clans les superdomaines des idées pour s'apercevoir que ce sont des princesses de science en même temps que des princesses lointaines! J'ai rencontré dans divers hôpitaux des pharmaciennes jolies à faire pâlir les riches couleurs d'aniline de leurs boccoux: songeant instinctivement à la fièvre ardente qu'elles pouvaient provoquer, je leur demandai si elles avaient de la quinine mais malheureusement elles ne connaissaient pas Pelletier et Cavenlou, les inventeurs français de ce médicament apaisant. La force méthodique de la Germanie pour l'effacement des découvertes qui ne sont pas siennes avait passé par là! (63-64)

თბილისში ბევრია კარგად განათლებული და გამოცდილი ექიმი ქალი, თითქმის ყველამ იცის ფრანგული, მრავალ მათგანს განათლება მიღებული აქვს ან საფრანგეთში, განსაკუთრებით მონპელიეში, რომელიც აღმოსავლური გავლენის მქონე სამეცნიერო ცენტრია, ან შვეიცარიაში – ჟენევასა და ლოზანაში. განსაკუთრებით მემახსოვრება ექიმი ქალები რუსები – პირადოვი, აგასოვი, ქართველი დეკანოზოვი, გინეკოლოგ სობესტიანსკის ასისტენტები, რომლებიც ფრანგულ ენაზე ისე სუფთად ლაპარაკობენ, რომ ბევრ ჩვენს თანამომემს შეშურდებოდა. ეს ექიმი ქალები, რომლებსაც ხშირად უჭირავთ მნიშვნელოვანი თანამდებობები და ხელმძღვანელობენ ლაბორატორიებს, არ ჩაიძირნენ უმადური მუშაობის პროფესიულ სიმახინჯეში, მათარ აქვთ „სავანტასების“⁵ ჰიბრიდული იერი, ინარჩუნებენ თავიანთ ქალურ ხიბლს და თქვენ უნდა მისცეთ საკუთარ თავს მათთან ერთად ფრენის უფლება, რათა გაიგოთ, რომ ისინი ერთდროულად მეცნიერების პრინციპები და შესანიშნავი ქალბატონები არიან! სხვადასხვა საავადმყოფოში იმდენად ლამაზ ფარმაცევტ ქალებს შევხვდი,

² ედმუნდ მიხეილის ძე სობესტიანსკი (1867-1941) – ცნობილი მენ-გინეკოლოგი, მედიცინის დოქტორი, პროფესორი. შექმნა ხელსაწყო-აპარატი „ხელოვნური სანაყოფო ბუშტი“ (1907), რისთვისაც მედიცინის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭეს.

ლუი დარტიგის ცნობა: „მისი ცოლი ფრანგია და კანონიერი სიამაყით ინახავს საპატიო ლეგიონის ჯვარს, რომელიც ნაპოლეონმა თავისი ხელით დაამაგრა მისი დიდი პაპის გმირულ მკერდს“.

³ ლუი დარტიგის ცნობა: „ის საფუძვლიანად იცნობდა ჩვენს ფრანგულ სამეცნიერო ნაშრომებს; მე მას შევთავაზე, გაეხსნა სამედიცინო პრესის გვერდები, რადგან სურდა, რომ საფრანგეთისთვისაც გაეცნო თავისი ნაშრომები“.

⁴ ლუი დარტიგის ცნობა: „ის იცნობდა ჩვენს მეტრებს და პარიზის საავადმყოფოებს“.

⁵ სავანტესა (ფრ. Savantasse) – წიგნიერი ქალი, ირონიული გამოთქმა.

რომლებიც აფერმკრთალებდნენ თავიანთი ქილების ანილინის მდიდრულ ფერებს: ინსტიქტურად იმ ციებ-ცხელებაზე ვფიქრობდი, რომლის გამოწვევაც მათ შეეძლოთ და ვკითხე, ქინაქინა თუ ჰქონდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ არ იცოდნენ ამ დამამშვიდებელი წამლის ფრანგი გამომგონებლების, პელეტისა და კავანტუს, შესახებ. მათზე სხვისი აღმოჩენების წამშლელმა გერმანიის მეთოდურმა ძალამ გაიარა!

Je disais donc que le Dr Hambachidzé, dans cette visite aux hôpitaux, me rendit grand service. Et cela à cause de sa connaissance des langues – c'était un interprète merveilleux – et de ses relations influentes.

როგორც უკვე ვთქვი, საავადმყოფოებში ვიზიტების დროს ექიმი ღამბაშიძე დიდ სამსახურს მიწევდა, როგორც ენების ცოდნით – ის შესანიშნავი თარჯიმანი იყო, ისე თავისი გავლენიანი კავშირებით.

C'est ainsi que j'ai visité l'hôpital Michel, rue Mikaëlowskaïa, assez voisin de chez nous; c'est l'hôpital de la ville. Il était dirigé par le savant professeur Gourko dont j'ai déjà parlé. J'ai vu là le Dr Rosenbaum, un chirurgien allemand qui transpirait l'orgueil et le pédantisme méprisant du haut de sa massive blondasserie; heureusement que par compensation il y avait le sympathique Dr Kimon, auquel je fus présenté par sa charmante assistante Mlle Marguerite Oganezoff: j'assistai une fois à une opération de goître fort bien menée par ce chirurgien. (66)

ასე ვინახულე მიხეილის საავადმყოფო, მიხაილოვსკის ქუჩაზე, რომელიც ჩვენგან საკმაოდ ახლოს მდებარეობდა; ეს ქალაქის საავადმყოფოა. მას ხელმძღვანელობს სწავლული პროფესორი გურკო, რომელიც უკვე ვახსენე. იქ ვნახე ექიმი როზენბაუმი, გერმანელი ქირურგი, რომლის მასიური ქერა თავიდან სიამაყე და დამცინავი პედანტიზმი გამოსჭვიოდა; საბედნიეროდ, მის საკომპენსაციოდ იქ იყო სიმპათიური ექიმი კიმონი, რომელთანაც წარმადგინა მომხიბლავმა ასისტენტმა მადმუაზელ მარგერიტ ოგანეზოვმა: ერთხელ დავესწარი ჩიყვის ოპერაციას, რომელიც ამ ქირურგმა ჩინებულად გააკეთა.

J'ai visité également l'hôpital Alexandre II rue Velikokniajewskaïa, dont le médecin-chef, le D' Maissouriantz, parle français et est un distingué laryngologiste. C'est l'hôpital de maladies cutanées et vénériennes. Admirable petit hôpital moderne, bien tenu: c'est là que j'ai fait la connaissance du dermatologiste Mzareouloff; j'y ai rencontré une doctoresse Iamolenka, qui dirigeait le laboratoire de bactériologie. (66-67)

ველიკოკნიაჟესკაიას ქუჩაზე მოვინახულე ალექსანდრე II-ს საავადმყოფო, რომლის მთავარი ექიმი, მაისურიანცი, ფრანგულად ლაპარაკობს და გამორჩეული ლარინგოლოგია. ეს არის კანისა და ვენერული დაავადებების შესანიშნავი პატარა, თანამედროვე და კარგად მოვლილი საავადმყოფო: სწორედ იქ გავიცანი დერმატოლოგი მზარეულოვი; იქ შევხვდი ექიმ ქალს, იამოლენკას, რომელიც ბაქტერიოლოგიურ განყოფილებას ხელმძღვანელობს.

Un hôpital très beau, véritable modèle nouveau, c'est l'Hôpital Aramiantz, fondé par un riche Arménien de ce nom: son directeur est le D I' Arroutiounoff, très réputé dans la ville.

არამიანცის საავადმყოფო ძალიან ღამაზი, ჭეშმარიტად თანამედროვე მოდელის საავადმყოფოა, რომელიც ამავე გვარის მდიდარმა სომეხმა კაცმა დააარსა: მისი დირექტორი ქალაქში მეტად ცნობილი ექიმი, არუთიუნოვია.

L'Hôpital des Chemins de fer du Transcaucase, près de la gare de Tillis est dirigé par le Dr Sakharoff, administrateur du service des chemins de fer du Transcaucase. C'est le D^r et la D^{rsse} Agassoff, qui m'en ont fait les honneurs. Le Dr Markéwitch, le grand opérateur de la ville, en est le chirurgien. J'y ai rencontré deux doctresses gynécologues, mère et fille, les doctresses Erdelli, et le neurologue Chapouracloff. Cet hôpital possède la plus grande et la plus belle salle d'opérations de Tiflis. (67-68)

თბილისის სადგურის მახლობლად მდებარე ამიერკავკასიის რკინიგზის საავადმყოფოს ხელმძღვანელობს ამავე რკინიგზის ადმინისტრატორი, ექიმი სახაროვი. იქ ექიმებმა ბატონმა და ქალბატონმა აგასოვებმა მიმიღეს. საავადმყოფოს ქირურგი ქალაქში სახელგანთქმული ოპერატორი, ექიმი მარკვეიჩია. იქვე შევხვდი ორ გინეკოლოგ ქალს, დედა-შვილ ერდელის და ნევროლოგ შაპურაკლოვს. თბილისში ყველაზე დიდი და ყველაზე ლამაზი საოპერაციო ოთახი ამ საავადმყოფოშია.

Le Dr *Sobiesianski* habite un beau pavillon dans sa Maternité, au milieu de belles oeuvres d'art et dans un mobilier Empire français, un des plus beaux que j'aie jamais vus. Nous y reçûmes plusieurs fois, quelques amis et moi, l'hospitalité la plus charmante et la plus délicate. (68)

ექიმი სობესტიანსკი თავისი სამშობიარო სახლის ერთ ლამაზ ფლიგელში, ხელოვნების ლამაზ ნიმუშებსა და ფრანგული ამპირის⁶ იმ ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ავეჯის გარემოცვაში ცხოვრობს, როგორც კი ოდესმე მინახავს. ჩემს რამდენიმე მეგობარს და მე იქ არაერთხელ გაგვიწიეს მომხიბლავი და დახვეწილი მასპინძლობა.

Je visitai à deux reprises (serait-ce à cause de la folie régnante en Russie?) *l'Asile d'Aliénés*, dirigé par le savant aliéniste le D' Orbelli qui soigne ses pauvres fous avec une science et une sollicitude égales à leur égarement. J'ai vu là un beau portrait de Charcof, dans son cabinet. J'ai écrit, à propos de ces visites aux demeures de la Démence, un article intitulé: «Sur les confins de la Folie». (68)

მე ორჯერ ვინახულე (რუსეთში გაბატონებული სიგიჟის გამო ხომ არა? – L.D.) ფსიქიატრიული თავშესაფარი, რომელსაც ხელმძღვანელობს მეცნიერი-ფსიქიატრი ექიმი ორბელი; ამ საცოდავ ავადმყოფებს ის მეცნიერულად და მათი ავადმყოფობის სათანადო ზრუნვით მკურნალობს. მის კაბინეტში შარკოს⁷ კარგი პორტრეტი ვნახე. ამ ვიზიტების შესახებ დავეწერე სტატია, სათაურით: «Sur les confins de la Folie» („სიგიჟის საზღვრებზე“).

Le plus grand hôpital de guerre est l'Hôpital Militaire de Naflooug, dirigé par le Dr Schaïantz, qui avait là une charge peu commune: cet hôpital est une immensité, ses services sont innombrables, son personnel est un monde. Le Dr Schaïantz a travaillé à Paris et connaît bien nos principaux maîtres; il est le médecin du Consulat de France. Il m'a fait le plaisir de visiter notre hôpital et l'honneur d'y puiser quelques idées pour son hôpital, cependant si bien organisé. C'est un homme de progrès. Nous avons rencontré là une multitude de médecins parmi lesquels je citerai les chirurgiens Piradoff, Sasanoff, le D' Nevolonoff, spécialiste des blessures de la face, le neurologue Zabatoff, l'otorhinolaryngologiste Oremboski, etc. On nous y fit les honneurs d'un thé et l'on but, comme partout sur notre passage, à la France. (68-69)

ყველაზე დიდი სამხედრო ჰოსპიტალი ნავთლულშია; მას ხელმძღვანელობს ექიმი შაიანცი, რომელსაც უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრა: ეს ჰოსპიტალი უზარმაზარია, განყოფილებები – უამრავი, პერსონალი – უთვალავი. ექიმი შაიანცი პარიზში მუშაობდა და კარგად იცნობდა ჩვენს მთავარ მეტრებს; ის საფრანგეთის საკონსულოს ექიმა. ჩემთვის სასიამოვნო იყო მისი მოსვლა ჩვენს ჰოსპიტალში; მან პატივი დამდო და ზოგიერთი ჩვენი იდეა თავისი ასე კარგად ორგანიზებული საავადმყოფოსთვის მოიწონა. ის პროგრესული ადამიანია. ჩვენ იქ მრავალ ექიმს შევხვდით, რომელთა შორის დავასახელებ ქირურგებს პირადოვს, სასანოვს, სახის ტრავმების სპეციალისტს – ნევოლონოვს, ნევროლოგ ზაბატოვს,

⁶ ამპირი – „გვიანი კლასიციზმის“ სტილი, რომელიც საფრანგეთში ნაპოლეონ I-ის იმპერიის დროს წარმოიშვა.

⁷ ჟან-მარტინ შარკო (1825-1893) – ფრანგი ექიმი ფსიქიატრი, ნევროლოგიური ავადმყოფობების სპეციალისტი, მისი შრომები ჰიპნოზისა და ისტერიის შესახებ გერმანულად თარგმნა მისმა მოწაფემ, ზიგმუნდ ფროიდმა.

ოტორინოლარინგოლოგ ორემბოსკის და ა.შ. ჩვენ იქ ჩაი დავლიეთ, როგორც ყველგან საფრანგეთისკენ მიმავალ გზაზე.

Un autre hôpital immense est l'Hôpital 53 ou d'Évacuation dans le quartier d'Avlabar; la ligne du chemin de fer le pénètre de telle sorte que les malades et blessés étaient directement portés dans l'Hôpital même. Le Dr Hambachidzé en avait été le médecin-chef organisateur; quand je le visitai, c'était le Dr Magaloff, un autre splendide exemplaire de la race géorgienne, qui le dirigeait et nous fit un accueil que je n'oublierai pas. Parmi les nombreux médecins dont je fis la connaissance, était le Dr Issakian qui y dirigeait une section chirurgicale et qui fut, je dois le dire, le trait d'union entre notre Hôpital et l'Hôpital d'Evacuation: élève de la Faculté de Montpellier, il se trouvait qu'il avait été le camarade d'études de mon Major radiologue Lamarche. Il y avait aussi sa femme, la Doctoresse Issakian, élève de Montpellier, la Doctoresse Herszkine, qui parle français comme vous ou moi, etc. (69-70)

კიდევ ერთი უზარმაზარი საავადმყოფო ავლაბრის უბანში მდებარე 53-ე ანუ საევაკუაციო ჰოსპიტალია; რკინიგზის ხაზი მასში ისე შედის, რომ ავადმყოფები და დაჭრილები პირდაპირ ჰოსპიტალში შეჰყავთ. მისი მთავარი ექიმი ღამბაშიძეა; როდესაც მივედი, იქ დამხვდა ქართული რასის კიდევ ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი, ექიმი მაღალოვი, რომელიც ჰოსპიტალს ხელმძღვანელობდა და მან ისე მიგვიღო, რომ არასოდეს დამავიწყდება. იქ გაცნობილ მრავალ ექიმს შორის იყო ექიმი ისაკიანი, ქირურგიული განყოფილების ხელმძღვანელი და უნდა ითქვას, რომ ის იყო ჩვენი და საევაკუაციო საავადმყოფოს დამაკავშირებელი რგოლი: ის მონპელიეში სწავლობდა და როგორც აღმოჩნდა, ჩემი მთავარი რადიოლოგის, ლამარშის, სტუდენტობის დროინდელი მეგობარი იყო. იქ იყვნენ მისი ცოლი – ექიმი ისაკიანი, აგრეთვე მონპელიეს კურსდამთავრებული და ექიმი ქალი ერსკინი, რომელიც ისე ლაპარაკობდა ფრანგულად, როგორც მე და თქვენ და ა.შ.

J'ai également parcouru ce qu'on appelle les « Lazarets » ou Hôpitaux de guerre. L'Hôpital Français succéda au «Lazaret 392» qui transporta ses pénates à Erzeroum; notre titre russe inscrit sur l'enseigne de l'Hôpital au-dessous de notre titre français était: «Franzouski Lazaret», en somme l'Hôpital de guerre des Français. Le Lazaret 50, avec comme médecin-chef le D' Inanski; le Lazaret 4, le Lazaret du Palais de Justice dirigé par le D' Lazareff, confrère fort aimable, accoucheur habile, et dont la femme est française; le Lazaret 26, dans le quartier de Mouchlaïd, dirigé par le Dc Melikoff; le Lazaret 17, dont le chirurgien était le P^r Ochman que j'ai vu opérer et qui a bien voulu plusieurs fois me demander conseil; le Lazaret 23, voisin de notre Hôpital avec lequel nous faisons mur mitoyen et qui était installé dans le splendide gymnase N° 2, ayant comme Médecin-Chef le Dr Markevitzazé et comme médecins ou chirurgiens traitants le D' Khalatoff qui parlait très bien le français et avait séjourné en France, le Dr Melkourian et beaucoup d'autres docteurs et doctresses; le Lazaret 12, installé dans le superbe établissement de l'Université Géorgienne dominant un grandiose paysage à la périphérie de la Ville, et où je vis entre autres les D's Melikhoff, Babakhanoff, Zavrieff, la Pharmacienne Mlle Feldner, etc.; le Lazaret de la Noblesse Géorgienne, dirigé par le D I' Markiladzé; tous ces Lazarets et bien d'autres hôpitaux furent visités par moi. (70-71)

მე აგრეთვე მოვიარე ის, რასაც „ლაზარეთები“ ანუ სამხედრო ჰოსპიტლები ეწოდება. ფრანგულმა ჰოსპიტალმა შეცვალა „ლაზარეთი 392“, რომელმაც თავისი კერა არზრუმში გადაიტანა; ფრანგული წარწერის ქვეშ მოთავსებული ჩვენი რუსული დასახელება იყო „ფრანგულსკი ლაზარეტ“ („Franzouski Lazaret“), მოკლედ, ფრანგული სამხედრო ჰოსპიტალი. ლაზარეთი 50-ის მთავარი ექიმი იყო ინანსკი; იუსტიციის სასახლის ლაზარეთ 4-ს ხელმძღვანელობდა ექიმი ლაზარევი, მეტად სასიამოვნო კოლეგა, ხელოვანი მეანი,

რომელსაც ფრანგი ცოლი ჰყავს; ლაზარეთ 26-ს, მუშთაიდის უბანში ხელმძღვანელობდა ექიმი მელიქოვი, ლაზარეთ 17-ში ქირურგი იყო პროფესორი ოშმანი, რომელიც ოპერაციის დროს ვნახე და რომელიც იმდენად თავაზიანი იყო, რომ რამდენჯერმე რჩევა მკითხა; ჩვენ ჰოსპიტლის გვერდით მდებარე ლაზარეთ 23-ში, რომელთანაც საერთო კედელი გვქონდა და რომელიც შესანიშნავ N°2 გიმნაზიაში იყო განთავსებული, მთავარ ექიმად იყო მერკვილაძე, მკურნალი ექიმები ანუ ქირურგები იყვნენ ხალათოვი, რომელიც ძალიან კარგად ლაპარაკობდა ფრანგულად და ნამყოფი იყო საფრანგეთში, ექიმი მელკურიანი და მრავალი ორივე სქესის ექიმი; ლაზარეთი 12 განთავსებული იყო ქართული უნივერსიტეტის შესანიშნავ შენობაში, რომელიც ქალაქის გარეუბნის გრანდიოზულ პეიზაჟს დაჰყურებს და სადაც სხვათა შორის ვნახე ექიმები მელიქოვი, ბაბახანოვი, ზავრიევი, ფარმაცევტი მადმუაზელ ფელდნერი და სხვ.; ქართველი თავადაზნაურობის ლაზარეთს ხელმძღვანელობდა ექიმი მერკვილაძე; მე ყველა ეს და მრავალი სხვა საავადმყოფოც ვინახულე.

Mais c'est à l'Alliance Française de Tiflis que nous avons apporté notre plus efficace concours. Cette filiale (il en existe une autre dans le Caucase, à Bakou) de l'Alliance française de Paris, a surtout pour but de propager la langue française. Fondée en 1910 par l'Instituteur français Sainte-Marie⁸, elle était tombée à un certain déclin, à cause de la guerre. La venue de la Mission Sanitaire Française avec ses soixante membres lui a donné une nouvelle impulsion et un regain de vitalité. Le secrétaire général M. Babet, Ingénieur des Ponts-et-Chaussées, s'attacha de toute son âme au relèvement de cette Société. Je ne saurais l'oublier ni assez le (87) remercier pour l'effort qu'il a tenté. Grâce aux relations de quelques-uns d'entre nous et de l'activité de mon secrétaire particulier Mével et de mon secrétaire général Montagnon, la Société s'enrichit en quelques jours de plus de 200 membres. (87-88)

მაგრამ ყველაზე ქმედითი დახმარება ჩვენ თბილისის „ალიანს ფრანსეზს“ (l'Alliance Française de Tiflis) გაუწიეთ. პარიზის „ალიანს ფრანსეზის“ ამ ფილიალის (კავკასიაში მეორე ბაქოშია – L.D.) მთავარი მიზანი ფრანგული ენის გავრცელებაა. 1910 წელს ის დააარსა ფრანგმა მასწავლებელმა, სენ-მარიმ⁹, მაგრამ ომის გამო ის გარკვეულწილად დაკნინდა. ფრანგული ჯანდაცვის მისიის 60 წევრის ჩამოსვლამ მას ახალი იმპულსი და სიცოცხლე შესძინა. ამ საზოგადოების აღდგენას მთელი თავისი სული ჩააქსოვა გენერალურმა მდივანმა, ხიდებისა და გზების ინჟინერმა, ბატონმა ბაბეტმა. მე ვერ შევძლებ მის მიერ გაწეული ძალისხმევის დავიწყებას და მისთვის სათანადო მადლობის გადახდას. ზოგიერთი ჩვენგანის კავშირების, აგრეთვე ჩემი პირადი მდივნის, მეველისა და ჩემი გენერალური მდივნის, მონტანიონის აქტიუობის წყალობით, რამდენიმე დღეში საზოგადოება 200-ზე მეტი წევრით გაიზარდა.

La Princesse Lisa Orbeliani, descendante des derniers rois de Géorgie et dont un des ancêtres, m'a-t-elle raconté, fut reçu par Louis XIV pour établir des relations amicales et intellectuelles entre la Géorgie et la France (déjà!), la Princesse Lisa Orbeliani, femme distinguée, charmante et éminente, à qui est due la traduction et la mise à la scène du «Démon» du grand poète russe Lermontoff qui vécut autrefois à Tiflis, fut nommée présidente. Sous la présidence et sous l'égide de l'Alliance française fut inaugurée une série de conférences parmi lesquelles je mentionnerai celle si pathétique de mon ami

⁸ Ce fondateur vit encore ignoré. J'ai été le seul à connaître son existence et à lui rendre visite avec mon dévoué secrétaire Mével.

⁹ ლუი დარტიგის შენიშვნა: „ეს დამფუძნებელი კვლავ იგნორირებულია. მე ერთადერთი ვიყავი, ვინც შეიტყო მისი არსებობის შესახებ; მე ის ვინახულე ჩემს ერთგულ მდივანთან, მეველთან, ერთად“.

M. Bure, consul général de Belgique, sur l'invasion allemande de son pays au début de la guerre. A la sollicitation de la Princesse, je m'étais engagé à faire une conférence que j'avais intitulée: «La puissance scientifique de la France». J'étais sur le point de la faire quand nous dûmes quitter le Caucase. En attendant nous nous attachions surtout à faire connaître la langue française et à l'enseigner. (88)

საქართველოს უკანასკნელი მეფეების შთამომავალი, პრინცესა ლიზა ორბელიანი¹⁰, – რომლის თქმით, მისი ერთ-ერთი წინაპარი ლუი XIV-მ მიიღო მეგობრული და ინტელექტუალური ურთიერთობის დასამყარებლად საქართველოსა და საფრანგეთს შორის (უკვე მაშინ! – L.D.)¹¹, – გამორჩეული, მომხიბვლელი და გამოჩენილი ქალი, რომელსაც უნდა ვუმაღლოდეთ ოდესღაც თბილისში მცხოვრები დიდი რუსი პოეტის, ლერმონტოვის „დემონის“ თარგმნასა და სცენაზე მის დადგმას, „ალიანს ფრანსეზის“ პრეზიდენტად დაინიშნა. „ალიანს ფრანსეზის“ თავმჯდომარეობითა და ეგიდით დაიწყო ლექციების სერია, რომელთა შორის მე ვახსენებდი ბელგიის გენერალური კონსულის, ჩემი მეგობრის, ბატონი ბურის, მეტად პათეტიკურ ლექციას ომის დასაწყისში მის სამშობლოში გერმანელების შეჭრის შესახებ. პრინცესას თხოვნით მე ვითავე ლექციის წაკითხვა, სათაურით: “La puissance scientifique de la France” („საფრანგეთის სამეცნიერო ძალა“) და მე ის უნდა წამეკითხა კიდეც, მაგრამ კავკასიიდან წასვლა მოგვიხდა. მანამდე კი ჩვენი მთელი ყურადღება ფრანგული ენის გაცნობასა და სწავლებაზე იყო გამახვილებული.

Nous avons eu, presque tous les membres de là Formation, des relations très agréables avec les différents éléments étrangers de Tiflis qui nous ont reçus chez eux. Il faudrait des pages pour citer tout le monde. Personnellement, j'ai connu et fréquenté le général Mdivani, commandant la place de Tiflis, qui a vécu autrefois comme officier en France, dont la femme est charmante et la jeune fille un type de beauté géorgienne, les généraux Arloff, Taffanoff Galinzinski, Kalnilzki, chef de l'Etat-Major du Caucase, le généra! Kharganoff dont toute la famille, artiste, distinguée, parle le français le plus pur. C'est la mère du général Kharganoff qui me pressait de venir souvent à ses soirées: «Venez, nous tenons à ce que vous veniez, vous verrez que nous ne sommes pas des sauvages!» Et de fait, dans le salon de Mme Kharganoff on était dans le milieu le plus exquis et le plus raffiné: je me croyais revenu à Paris. J'ai connu aussi le général Tarkanoff, chef de-la Chancellerie des Logements, le général Ardjevanilzë, le général Engelke, chef des Voies et Communications, le général Chelkovnikoff, le général Dournavo, commandant l'artillerie et le Corps des Cadets et sa charmante jeune fille, une tennis-woman fort habile, le général Nazarbekoff, le dernier soutien militaire des alliés au Caucase, le général prince Makaef propriétaire du local de notre «Lazaret», glorieux mutilé de la guerre russo-japonaise, de petite taille mais doué d'une voix de stentor, se réclamant avec orgueil d'être un «Knias groudzin», un «Prince, géorgien», le général Préjevalski, glorieux vainqueur d'Erzcroum qui occupait les loisirs de sa retraite à apprendre l'anglais par une méthode qu'il m'a indiquée et fort ingénieuse, le général Liakoff, le vainqueur de Trébizonde, où nous devons aller primitivement en Mission, et qui est considéré comme ayant une grande valeur militaire et un des meilleurs généraux de Russie, le

¹⁰ ელისაბედ ორბელიანის მეუღლე იყო მამუკა ივანეს ძე ორბელიანი (1873-1924), ქართული დრუჟინის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

¹¹ იგულისხმება 1713-1714 წლებში სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა ევროპაში; ლუი XIV-მ ის ვერსალის სასახლეში ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ, 1714 წლის აპრილში მიიღო, საქართველოში კი მხოლოდ მისიონერების გაგზავნას დაჰპირდა (ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე. თბილისი 1969; საქართველოს ისტორია ოთხ ტომად: უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე. რედაქტორი: მიხეილ სამსონაძე, ტომეულის მთავარი რედაქტორი: მარიამ ლორთქიფანიძე. III, თბილისი, 2012, 299-300).

général Gabaef, ancien chef de corps d'armée du front de Galicie et ses deux très aimables et très intelligentes filles. Je n'oublie pas non plus le Prince kurde Kamil beg, ami de la Franco, le colonel Prince Toumanoff, le colonel prince Gouramoff, de la Chancellerie des Logements, avec lequel j'ai eu des conversations si intéressantes sur l'avenir victorieux de la France, le colonel Prince Eristoff, le plus élégant cavalier qui se puisse rêver et qui a jadis gagné en France de belles courses, le colonel Prince Moukranski, attaché au Service de santé et dont les ancêtres glorieux reposent sous les dalles géorgiennes de la vieille cathédrale de M'Chket: il possède des chevaux admirables dans son vieux château féodal; le colonel Prince Amilakoar; les colonels Bobachewski, Boyanoff, Ananio qui porte la Croix de guerre française et, dont j'aurais pris la délicieuse jeune fille comme infirmière à notre hôpital si cela m'avait été possible; le colonel Mdivani, frère du général, qui a épousé une Française, le colonel baron Wolf dont le fils recevait des leçons de langue et littérature françaises de l'un des nôtres que j'avais désigné; le colonel Eugène Sovianoff, aide-de-camp du général Tarkhanoff, cousin de M. Caren Krassilnokoff; le colonel Bobachewski, le colonel Karganitelli, chef-adjoint de l'Etat-major du Caucase, le colonel Redir, le colonel Dibolt, directeur-adjoint du Service de santé; le capitaine Prince Andronikoff, le colonel Staroseski, aide-de-camp du chef de la brigade persane à Téhéran; enfin le colonel Essadgé, homme bienveillant, doux et exquis chez lequel j'ai reçu un accueil inoubliable: il était le chef du Service photographique et cinématographique de l'armée du Caucase; je lui dois des documents merveilleux qu'il m'a donnés avec une générosité peu commune; il écrit sur le Caucase un livre qui sera édité aussi en français et qui sera un véritable monument. J'ai écrit un article: « Un déjeuner chez le colonel Essadgé » où je décris des moeurs russo-géorgiennes vraiment intéressantes.

(102-103)

ფორმაციის თითქმის ყველა წევრს მეტად სასიამოვნო ურთიერთობები ჰქონდა თბილისში მყოფ სხვადასხვა უცხოელთან, რომლებმაც თავიანთ სახლში მიგვიღეს. ყველას ჩამოსათვლელად არაერთი გვერდი დაგვჭირდება. მე პირადად ვიცნობდი და ხშირად ვხვდებოდი: გენერალ მდივანს, თბილისის კომენდანტს, რომელიც ადრე, როგორც ოფიცერი, საფრანგეთში ცხოვრობდა, მას მომხიბლავი ცოლი და ქართული სილამაზის მქონე ქალიშვილი ჰყავს¹²; გენერლებს ორლოვს, ტაპანოვს, გალინზინსკის, კალნილსკის, კავკასიის გენერალური შტაბის მეთაურს – გენერალ კორგანოვს, რომლის მთელი ოჯახი გამოჩენილი ხელოვანია და ყველაზე სუფთა ფრანგულ ენაზე ლაპარაკობს. სწორედ გენერალ კორგანოვის დედა მომიწოდებდა, რომ ხშირად დავსწრებოდი მის საღამოებს: „მოზრმანდით, ჩვენ გვინდა, რომ მოხვიდეთ და თქვენ ნახავთ, რომ ველურები არ ვართ!“ და მართლაც, მადამ კორგანოვის სალონში მეტად მომხიბლავი და დახვეწილი გარემო იყო: ისე მეგონა, რომ კვლავ პარიზში ვიყავი. მე ასევე ვიცნობდი გენერალ თარხანოვს¹³ – საბინაო კანცელარიის უფროსს, გენერალ არჯევანიძეს¹⁴, გენერალ ენგელკეს – გზებისა და კომუნიკაციების უფროსს, გენერალ შელკოვნიკოვს, გენერალ დურნოვოს – არტილერიისა და კადეტთა კორპუსის მეთაურს და მის

¹² ფრანგული ქირურგიული მისიის თბილისში ჩასვლის დროს ზაქარია მდივანი კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი იყო. მისი მეუღლე იყო ელისაბედ სობოლევსკა, დედით ქართველი, მამით პოლონელი. მათ ხუთი შვილი ჰყავდათ. მიუხედავად სიმწიფისა და საცხოვრისის ხშირად შეცვლისა, მშობლებმა შვილებს საუკეთესო განათლება მისცეს – ჯერ ვარშავაში, სადაც ზაქარია ერთხანს ვარშავის კომენდანტი იყო, შემდეგ, პეტერბურგსა და დამოუკიდებელი საქართველოს დროს – თბილისში. ხუთივე – დავითი, სერგი, ნინო, რუსუდანი, ალექსი – გამოირჩეოდნენ სილამაზით, არისტოკრატიზმითა და განსაკუთრებული მიმზიდველობით.
<http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000321/>

¹³ გენადი ნიკოლოზის ძე თარხნიშვილი (თარხანოვი) (1854-1920) – თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1916), 1912-1917 კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების საბინაო სამმართველოს უფროსი.

¹⁴ გიორგი პავლეს ძე არჯევანიძე (1863-1940) – ქართველი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი.

მომხიბლავ ქალიშვილს – მეტად ხელოვან ჩოგბურთელს, გენერალ ნაზარბეკოვს – კავკასიაში მოკავშირეების უკანასკნელ სამხედრო მხარდამჭერს, გენერალ თავად მაყაევს¹⁵ – ჩვენი „ლაზარეთის“ შენობის მესაკუთრეს, რუსეთ-იაპონიის ომში დასახიჩრებულ ტანდაბალ, ომახიანი ხმით დაჯილდოებულ კაცს, რომელიც ამაყად აცხადებდა, რომ „ქართველი კნიაზი“ იყო; გენერალ პრევეალსკის – არზრუმის გამოჩენილ დამპყრობს, რომელმაც პენსიაზე გასვლის შემდეგ თავისუფალი დრო ინგლისურის შესწავლას დაუთმო ერთი მეთოდით, რომელიც მეც მიმიტითა; გენერალ ლიახოვს – ტრაპიზონის დამპყრობს, სადაც თავდაპირველად უნდა წასულიყო ჩვენი მისია; ის დიდი სამხედრო ღირსების მქონედ და რუსეთის ერთ-ერთ საუკეთესო გენერლად ითვლება; გენერალ გაბაევს¹⁶ – გალიციის ფრონტის არმიის კორპუსის ყოფილ მეთაურს და მის ორ მეტად თავაზიან და ჭკვიან ქალიშვილს. არ დამავიწყდება საფრანგეთის მეგობარი ქურთი პრინცი ქამილ ბეგი, პოლკოვნიკი თავადი თუმანოვი, პოლკოვნიკი თავადი გურამოვი საბინაო კანცელარიიდან, რომელთანაც მეტად საინტერესო საუბარი მქონდა საფრანგეთის გამარჯვებული მომავლის შესახებ, პოლკოვნიკი თავადი ერისთავი – ყველაზე ელეგანტური ცხენოსანი, როგორცეც კი შეიძლება იოცნებო და რომელმაც ადრე საფრანგეთში დოღში გაიმარჯვა; პოლკოვნიკი თავადი მუხრანსკი, რომელიც ჯანდაცვის სამსახურზე იყო მიმაგრებული და რომლის დიდებული წინაპრები მცხეთის ძველი საკათედრო ტაძრის ქართული ფილების ქვეშ განისვენებენ: თავის ძველ ფეოდალურ ციხე-კოშკში მას შესანიშნავი ცხენები ჰყავს; პოლკოვნიკი თავადი ამილახვარი; პოლკოვნიკები ზობაჩევსკი, რაიანოვი და ანანოი, ეს უკანასკნელი ატარებს ფრანგულ Croix de Guerre-ს¹⁷ და შესაძლებელი რომ ყოფილიყო, მის არაჩვეულებრივ ქალიშვილს მედდად ავიყვანდი; პოლკოვნიკი მდივანი – გენერლის ძმა, რომელმაც ფრანგი ქალი შეირთო ცოლად, პოლკოვნიკი ბარონი ვოლფი, რომლის ვაჟს მე ჩვენი მისიის ერთ-ერთი წევრი გამოვუყავი ფრანგული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად; პოლკოვნიკი ეჟენ სოვიანოვი, ბატონ კარენ კრასილნიკოვის ბიძაშვილი და გენერალ თარხანოვის ადიუტანტი; პოლკოვნიკი კარგარეთელი¹⁸ – კავკასიის მთავარი შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი რედირი, პოლკოვნიკი დიბოლტი – ჯანდაცვის სამსახურის დირექტორის მოადგილე; კაპიტანი თავადი ანდრონიკოვი, პოლკოვნიკი სტაროსელსკი – სპარსული ბრიგადის მეთაურის ადიუტანტი თეირანში; დაბოლოს, პოლკოვნიკი ესაძე, კეთილმოსურნე, სასიამოვნო და დახვეწილი კაცი, რომელთან სტუმრობაც დაუვიწყარია: სწორედ მას, კავკასიის ჯარის ფოტოგრაფიისა და კინემატოგრაფიის სამსახურის უფროსს, უნდა ვუმაღლოდე იმ არაჩვეულებრივ დოკუმენტებს, რომლებიც მან იშვიათი გულუხვობით მომცა; ის წიგნს წერს კავკასიის შესახებ, რომელსაც ფრანგულ ენაზეც გამოსცემენ და ის ნამდვილი ძეგლი იქნება. მე დავწერე სტატია: «Un déjeuner chez le colonel

¹⁵ აბელ (ბალო) მაყაშვილი (1860-1920) – ქართველი სამხედრო მოღვაწე, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, საქართველოს არმიის გენერალი.

¹⁶ შეიძლება ოგულისხმება ვასილ დავითის ძე გაბაშვილი (გაბაევი) (1853-1933) – რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1913), 1915-1916 წლებში კავკასიის გენერალ-დივიზიის მეთაური, დაჯილდოვდა „წმინდა გიორგის“ IV ხარისხის ორდენითა (1915) და „წმინდა გიორგის“ ოქროს იარაღით (1917); 1916-1917 წლებში იყო თბილისის სამხედრო კომენდანტი, 1917 წლის ბოლოს დაინიშნა ახლად შექმნილი ქართული არმიის კორპუსის მეთაურად. უმაღლესი სამხედრო თანამდებობა შეინარჩუნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, მაგრამ 1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გადადგა.

¹⁷ Croix de Guerre (ომის ჯვარი) – საფრანგეთის სამხედრო ორდენი, რომელიც შეიქმნა 1915 წელს. ის ენიჭებოდა პირველი და მეორე მსოფლიო ომების, სხვა კონფლიქტებისა და საფრანგეთის მოკავშირე უცხოეთის სამხედრო ძალებს.

[https://fr.wikipedia.org/wiki/Croix_de_guerre_1914-1918_\(France\)](https://fr.wikipedia.org/wiki/Croix_de_guerre_1914-1918_(France))

¹⁸ ვასილ დიმიტრის ძე კარგარეთელი (1880-1946) – ქართველი სამხედრო პირი (მ. გოგოტიძე, გ. ბეჟიტაშვილი, „სამხედრო ფიცის ერთგულნი“, თბილისი, 2015, გვ. 146-147).

Essadgé» („სადილი პოლკოვნიკ ესადესთან“), რომელშიც მართლაც საინტერესო რუსულ-ქართული ადათ-წესები აღვწერე.

J'ai déjà parlé du prince *Georges Orbeliani* qui ressemble au Mounet-Sully des dernières années, au grand air royal – il est du reste de race royale – et aux idées républicaines; il rêvait pour son pays une république avec un protectorat français: c'est un homme d'une érudition consommée, qui sait tout, a voyagé partout, et dont la conversation instructive est incomparable, et cela dans la langue que vous voulez. (103)

მე უკვე ვისაუბრე თავადი გიორგი ორბელიანის შესახებ, რომელიც ბოლო წლების მუნესულის¹⁹ ჰგავს დიდებული მეფური იერით და ამასთან, ის სამეფო ოჯახიდან არის და აქვს რესპუბლიკური იდეები; თავისი ქვეყნისთვის ის ფრანგული პროტექტორატის ქვეშ მყოფ რესპუბლიკაზე ოცნებობს: ის მეტად ერუდირებული კაცია, რომელმაც ყველაფერი იცის, ბევრგან უმოგზაურია და თქვენთვის სასურველ ენაზე მისი ინსტრუქციული საუბარი, შეუდარებელია.

Le prince Grégoire Karangozoff, âgé de 70 ans, une merveille de conservation; c'est la figure de notre Henri IV ressuscitée; je lui ai vu accomplir des exploits physiques extraordinaires. Le Prince Michel de Géorgie, cousin du prince Georges, est un admirable spécimen de la plus belle race du monde: il parle français comme un prince du langage. Le Prince Michel Soumatoff, président des «Ziemski-Saïous» ou de l'Alliance des villes, n'est pas un prince fainéant; il est ingénieur distingué, a dirigé une industrie en Algérie, parle couramment toutes les langues d'Europe et d'Asie; c'est lui qui vint me prévenir, pour tâcher d'y remédier, n'ayant pas été écouté par l'attaché français, de la fermeture prochaine de la frontière persane par suite d'une erreur grave imposée à la Mission sanitaire en Perse. Je ne veux pas oublier Son Excellence M. Fechner, directeur du Service de santé civil du Caucase; le distingué avocat et poète Mickiéwitch que nous avons soigné; M. Tatitief, Directeur-adjoint du chemin de fer du Caucase, et son fils le lieutenant Tatitief, parlant le français comme un Français très cultivé, ayant fait ses études d'ingénieur à l'Ecole des Mines de Paris, commandant le train blindé sur la ligne de Bakou et que nous avons opéré et soigné à la suite d'un accident tragique. A ce propos je conserve en même temps que le major Sarlabous qui était son ami un souvenir reconnaissant pour l'Ingénieur en chef de la Compagnie du chemin de fer du Transcaucase, M. Kozakoff qui nous avait offert son précieux concours pour nous faciliter le passage sur Bakou au moment où la Formation sanitaire commençait à être encerclée dans Tiflis et risquait d'être faite prisonnière. J'ai eu le plaisir de connaître le Prince Bektabegoff, prince arménien – les princes arméniens sont rares – et le Prince Bebutoff, attachés comme ingénieurs à la Croix-Rouge russe qui parlent français comme vous et moi, le Prince Toumanoff et sa famille, le Prince et la Princesse Soumatoff, parents de Mme la générale Tamantcheff, dont une jeune et jolie Géorgienne a épousé le fils d'un de mes amis, un des plus grands chirurgiens de France, la très distinguée princesse Marie Orbeliani, tante du prince Abachidzé, les Princesses Erisloff et Balzieff la Princesse Moukranski, d'origine anglaise, la Princesse Erisloff mère du colonel de cavalerie dont je parlais plus haut, et de Mmes Domertchikoff, dont le mari fut avant la Révolution, gouverneur de Batoum, et Plemianikoff, dont la fille s'annonce comme un prototype de pure beauté géorgienne, chez lesquelles j'ai eu le plaisir et l'honneur d'être reculant de fois d'une-façon si exquise et où j'ai passé d'agréables soirées musicales – elles sont des musiciennes de grand talent; – je n'oublierai jamais leur hospitalité si géorgienne: l'étrange et extraordinaire petite Princesse Chantcha avait Icoubschew, la Princesse Melikoff, la Princesse Annette Bagration Moukranshy, la Princesse Isbachoff qui avait créé un

¹⁹ მუნესული, ნამდვილი სახელი – ჟან სული-მუნე (1841-1916) – ფრანგი ტრაგიკოსი, Comédie-Française-ის დასის წევრი.

hôpital pour les blessés du front du Caucase, la Princesse Abachidzé, femme du regretté Prince Abachidzé, commissaire du Comité provisoire, grand ami de la France, lettré merveilleux que j'ai connu à son lit de douleur, Mme Zanftroff, femme de l'ancien gouverneur de Var sovie, Mme Périmoff, veuve d'un chirurgien très distingué de Tiflis, Mme Cosakewich, femme du général russe mort au début de la guerre, belle et séduisante; Mme Oganoff, belle-soeur du général Kharganoff. Nous avons fréquenté tous les milieux russe, arménien, géorgien, lartare. J'ai connu M. Touromanoff, riche industriel arménien qui fut accueillant pour plusieurs membres de la Formation. Dans la famille Oganezoff, dont Mlle Marguerite Oganezoff était assistante du Dr Kimon, dans la famille Krassilnikoff, dont plusieurs parents que je connais vivent à Paris, presque tous les nôtres reçurent la plus gracieuse hospitalité. La belle Mme Tamara Oganezoff a son mari ingénieur ayant fait des études en France. Le lieutenant Elouch Djebedari, gracieux type de la race géorgienne, marié à une Belge, ayant vécu en Belgique avant la guerre, a reçu nombre de nos camarades de la Formation. Il m'a donné, ainsi qu'à mon secrétaire, des documents photographiques extrêmement intéressants sur le Caucase. (103-106)

70 წლის თავადი გრეგუარ ყარანგოზოვი შესანიშნავად გამოიყურება; მას თითქოს გაცოცხლებული ანრი IV-ს²⁰ აღნაგობა აქვს; მე ვნახე, როგორ ასრულებდა ის გასაოცარ ფიზიკურ ვარჯიშებს. საქართველოს პრინცი მიშელი²¹, თავადი გიორგის ბიძაშვილი, მსოფლიოს ულამაზესი რასის შესანიშნავი ნიმუშია: ის ისე ლაპარაკობს ფრანგულად, როგორც ამ ენის მატარებელი პრინცი. თავადი მიშელ სუმბათოვი²² – „ზემსკი სოიუზის“ ანუ ქალაქების კავშირის პრეზიდენტი, უსაქმო თავადი არ არის; ის გამორჩეული ინჟინერია, ხელმძღვანელობდა მრეწველობას ალჟირში, თავისუფლად ლაპარაკობს ევროპისა და აზიის ყველა ენაზე; სწორედ ის მოვიდა ჩემ გასაფრთხილებლად და იმის გამოსწორების საცდელად და რაც არ შეისმინა საფრანგეთის ატამემ სპარსეთის საზღვრის გარდაუვალი დახურვის შესახებ სპარსეთში სანიტარიული მისიისთვის დაბრალებული სერიოზული შეცდომის გამო²³. მე არ მინდა დავივიწყო მისი აღმატებულება ბატონი ფეჰნერი, კავკასიის სამოქალაქო ჯანდაცვის სამსახურის დირექტორი; გამოჩენილი ადვოკატი და პოეტი მიცკევიჩი, რომელსაც

²⁰ ანრი IV დე ბურბონი „დიდი“ (1553-1610) – ნავარის (1572-1610) და საფრანგეთის (1589-1610) მეფე.

²¹ ტექსტში: „Le Prince Michel de Géorgie“. შეიძლება იგულისხმება მიხეილ ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკი (1860-1935).

²² მიხეილ სუმბათაშვილი (1885 - ?) – ქართველი დიპლომატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი შვეიცარიასა და დიდ ბრიტანეთში.

²³ კავკასიის არმიის მეთაურის, გენერალ პრჟევალსკის რჩევით, 1917 წლის სექტემბერს საფრანგეთის ჯანდაცვის ერთ-ერთი მისია, ექიმი კოჟოლის ხელმძღვანელობით, რუსეთში გაგზავნის ნაცვლად ურმიაში გაგზავნეს; ამის მიზეზი ის იყო, რომ ოქტომბერში მეორე ფრონტის გახსნას აპირებდნენ და თურქებთან ბრძოლაში დაჭრილი რუსი ჯარისკაცების სამკურნალოდ ჰოსპიტალი სჭირდებოდათ. ურმიის მოსახლეობა ძირითადად შიიტი მუსლიმებისგან შედგებოდა, ქურთები სუნიტები იყვნენ, მოსახლეობის მეოთხედს კი ასურელ-ქალდეველები და სომეხი ქრისტიანები შეადგენდნენ. ასურეთისა და ნინევის ქვეყნებიდან ჩამოსული სხვა ქალდეველები ნესტორიანები იყვნენ, რომლებსაც აღმოსავლეთისა და ინდოეთის პატრიარქი მარ-შუმუნ (Mar-Shoumoun) მეთაურობდა. ათას ებრაელს სპეციალური უბანი ეჭირა. მუსლიმებს სძულდათ ქრისტიანები; ქალდეველებსა და სომეხებს – ერთმანეთი. რუსების წასვლის შემდეგ ფრანგული ნაწილები დარჩნენ და ჰუმანიტარული და ქრისტიან მილიციას გაუწიეს სამხედრო დახმარება. საბოლოოდ, თბილისის მოკავშირეთა შტაბის შეცდომებმა ის ჰუმანიტარულ მიზნებს ააცდინა: ფრანგები პროპაგანდისტულ საქმიანობაში დაადანაშაულეს. ასურელ-ქალდეველთა ბატალიონების ფორმირებამ დაძაბულობა გააძწავა და სპარსეთში საფრანგეთის იმიჯი შეარყია (E. Gilbrin. *Le docteur Paul Caujole. L'hôpital français d'Ourmia (septembre 1917 – avril 1918)*. Histoire des sciences medicales. Organe officiel de la societe francaise d'histoire de la medecine. Revue trimestrielle. Fondée par Dr. Andre Pecet. XIV, № 2, 1980, 155-164 (155-157); Florence Hellot, *L'ambulance française d'Urmia (1917-1918) ou le ressac de la grande guerre en Perse* Author(s): Studia Iranica, 25, Issue: 1, 1996, 45-82; Florence Hellot-Bellier, "France iii. Relations with Persia 1789-1918," *Encyclopaedia Iranica*, X/2, pp. 131-136).

ჩვენ ვუმკურნალეთ; ბატონი ტატიევი²⁴ – კავკასიის რკინიგზის დირექტორის მოადგილე და მისი ვაჟი, ლეიტენანტი ტატიევი, რომლებიც ძალიან განათლებული ფრანგივით ლაპარაკობს ფრანგულად; მან პარიზის l'Ecole des Mines-ში²⁵ შეისწავლა საინჟინრო საქმე და ბაქოს ხაზზე ჯავშანმატარებელს მეთაურობდა; ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ მე მას ოპერაცია გავუკეთე და ვუმკურნალე. ამასთან დაკავშირებით, მე მაიორ სარლაბუსთან ერთად, რომელიც მისი მეგობარი იყო, მადლობას ვუხდით ამიერკავკასიის რკინიგზის კომპანიის მთავარ ინჟინერს – ბატონ კოზაკოვს, რომელმაც იმ დროს შეგვთავაზა თავისი ფასდაუდებელი დახმარება ბაქოში ჩასასვლელად, როდესაც ჯანდაცვის მისიას თბილისში ალყაში აქცევდნენ და ტყვედ ჩავარდნაც კი ემუქრებოდა. მე მქონდა სიამოვნება, გამეცნო რუსულ წითელ ჯვარზე მიმაგრებული ინჟინრები – სომეხი თავადები, რაც იშვიათია – ბეგთაბეგოვი და ბებუთოვი, რომლებიც ისე ლაპარაკობდნენ ფრანგულად, როგორც მე და თქვენ; თავადი თუმანოვი და მისი ოჯახი, თავადი სუმბათოვი და მისი ცოლი – მშობლები მადამ გენერალი თამამშვეისა, რომელთა ახალგაზრდა და ლამაზი ქალიშვილი ცოლად შეირთო ჩემი მეგობრების, საფრანგეთის ერთ-ერთი უდიდესი ქირურგების ვაჟმა; მეტად გამორჩეული პრინცესა მარი ორბელიანი²⁶, თავად აბაშიძის დეიდა, პრინცესები ერისთავი და რატიევი, წარმოშობით ინგლისელი პრინცესა მუხრანსკი, პრინცესა ერისთავი – ზევით ნახსენები კავალერიის პოლკოვნიკის დედა, ქალბატონი დომერჩიკოვი, რომლის ქმარი რევოლუციამდე ბათუმის გუბერნატორი იყო, და ქალბატონი პლემიანიკოვი²⁷, რომლის ქალიშვილი ჭეშმარიტი ქართული სილამაზის პროტოტიპია და მე რამდენჯერმე მხვდა წილად მათთან სტუმრობის პატივი და სიამოვნება, დავსწრებოდი მათ მეტად დახვეწილ მუსიკალურ საღამოებს – ქალბატონები მეტად ნიჭიერი მუსიკოსები არიან; არასოდეს დამავიწყდება მათი ასე ქართული მასპინძლობა; პრინცესა მელიქოვი, პრინცესა ანეტ ბაგრატიონ-მუხრანსკი, პრინცესა იუზუაშოვი²⁸, რომელმაც კავკასიის ფრონტის დაჭრილებისათვის ჰოსპიტალი დააარსა, პრინცესა აბაშიძე – ცოლი აწ განსვენებული დროებითი კომიტეტის კომისრის, თავადი აბაშიძისა, რომელიც ძალიან განათლებული და საფრანგეთის დიდი მეგობარი იყო და რომელიც იმ დროს გავიცანი, როდესაც ლოგინს იყო მიჯაჭვული; ქალბატონი ზანფტროფი – ვარშავის ყოფილი გუბერნატორის ცოლი; ქალბატონი პერიმოვი – თბილისში მეტად პატივცემული ქირურგის ცოლი; ლამაზი და მიმზიდველი ქალბატონი კოზაკევიჩი – ომის დასაწყისში გარდაცვლილი რუსი გენერლის ქვრივი; ქალბატონი ოგანოვი – გენერალ კორგანოვის რძალი. ჩვენ დავდიოდით რუსებთან, სომხებთან, ქართველებთან, თათრებთან. მე გავიცანი: მდიდარი სომეხი მრეწველი, ბატონი ტურომანოვი, რომელმაც მასპინძლობა გაუწია მისიის რამდენიმე წევრს. ყველა ჩვენგანს გულთბილი მასპინძლობა გაუწიეს: ოგანეზოვების ოჯახმა – მადმუაზელ მარგარეტ ოგანეზოვი ექიმ კიმონის ასისტენტი იყო, აგრეთვე კრასილნიკოვების ოჯახმა – რომელთა რამდენიმე ნათესავი პარიზში ცხოვრობს და მე მათ ვიცნობ. მშვენიერი ქალბატონი თამარა ოგანეზოვის ქმარი საფრანგეთში ნასწავლი ინჟინერია. ლეიტენანტი ელუმ ჯაბადარმა – ქართული რასის დახვეწილმა წარმომადგენელმა, რომელიც

²⁴ შეიძლება იგულისხმება ნიკოლოზ როსტომის ძე ტატიშვილი (ტატიევი) (გ. 1920) – გენერალ-მაიორი (1917), დაჯილდოვდა „წმინდა გიორგის“ IV ხარისხის ორდენით (1917).

²⁵ l'Ecole des Mines (სამთო სკოლა) დაარსებულია 1783 წლის 19 მარტს საფრანგეთის მეფის, ლუი XVI-ს მიერ, რათა საფრანგეთის მადაროებისთვის „ჭკვიანი დირექტორები“ მოემზადებინათ. ის საფრანგეთის ერთ-ერთი უძველესი და მნიშვნელოვანი საინჟინრო სკოლაა.

²⁶ მარიამ (მამო) ჯამბაკურ-ორბელიანი (1852–1941) – ქართველი საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი.

²⁷ შეიძლება იგულისხმება თამარ ნიკოლოზის ასული ერისთავი [ერისთავი ქსნის] (1872-1952).

²⁸ შეიძლება იგულისხმებოდეს მდიდარი თბილისელი ნავთობის მეწარმის, დავით იუზუაშვიანის, მეუღლე ან ქალიშვილი. იუზუაშვიანის ვაჟი ფრონტზე დაიღუპა.

ომამდე ბელგიაში ცხოვრობდა და ბელგიელ ქალზეა დაქორწინებული, ჩვენი მისიის მრავალი მეგობარი მიიღო, მე და ჩემს მდივანს კი კავკასიის მეტად საინტერესო ფოტოდოკუმენტები მოგვცა.

J'adresse un bon souvenir à M. Michel Dechevoff, ingénieur des Mines, qui s'est occupé de notre hôpital et à qui j'ai fait donner les leçons de français qu'il désirait. (106)

მინდა გავიხსენო ბატონი მიშელ დეშეოფი, სამთო ინჟინერი, რომელმაც იზრუნა ჩვენს ჰოსპიტალზე და რომელსაც მისივე სურვილით ფრანგულის გაკვეთილებს ვუტარებდით.

J'ai été personnellement et particulièrement accueilli, avec le major Sarlabous, chez M. et Mme Essein: M. Essein est le premier avocat de Tiflis, et Mme Essein et sa soeur sont merveilleusement instruites, lettrées et polyglottes: j'ai eu avec elles les conversations les plus intéressantes et les plus élevées; il y avait dans cette famille Mme d'Olensky que je pris dans notre hôpital et qui nous rendit des services inappréciables comme secrétaire-interprète. Chez les Essein fréquentaient tous les officiers anglais et c'était chez eux un terrain de commune amitié. (106)

ბატონმა და ქალბატონმა ესეინებმა პირადად მე საგანგებოდ მიმიიღეს მაიორ სარლახუსთან ერთად: ბატონი ესეინი თბილისის პირველი ადვოკატია, ხოლო ქალბატონი ესეინი და მისი და საოცრად განათლებულები, წიგნიერები და პოლიგლოტები არიან: მე მათთან მეტად საინტერესო და ამალღებული საუბრები მქონდა; ამ ოჯახში იყო ქალბატონი დ'ოლენსკი, რომელიც მე ჩვენს ჰოსპიტალში ავიყვანე სამუშაოდ და როგორც მდივან-თარჯიმანმა მან შეუფასებელი სამსახური გაგვიწია. ესეინებთან ხშირად დადიოდა ყველა ინგლისელი ოფიცერი და მათი სახლი საერთო მეგობრობის ადგილი იყო.

J'ai été reçu avec plusieurs d'entre nous dans des milieux artistiques avec la plus grande affabilité. Je dois rappeler le souvenir charmant de la belle Mme Eva Brunelli, chef d'orchestre de très grand talent: chez elle j'ai eu le plaisir de faire la connaissance d'une partie de la belle société de Tiflis et de grands artistes parmi lesquelles je citerai Mlle Sabaniewa à la délicieuse voix, M. Torsky très beau tragédien. J'ai connu M. Nicolaëf directeur du Conservatoire de Tiflis qui possède plus de 400 élèves: il faut dire que les jeunes gens de la ville vont au Conservatoire, non pas, comme chez nous, pour se destiner au théâtre, mais pour parfaire leur éducation artistique et musicale: on est très artiste à Tiflis. M. Nicolaëf est un virtuose incomparable et, de plus, un charmant homme. J'ai entretenu des relations amicales avec M. Nicoladzé, éminent sculpteur, élève de Rodin, à qui l'on doit la statue de la tombe de Djarjavadzé, le grand poète géorgien. (106)

მე და მისიის რამდენიმე წევრი უდიდესი კეთილგანწყობით ხელოვანთა წრეებშიც მიგვიღეს. უნდა გავიხსენო მეტად ნიჭიერი დირიჟორი, მშვენიერი ქალბატონი ევა ბრუნელი²⁹: მის სახლში გავიცანი თბილისის შესანიშნავი საზოგადოების ერთი ნაწილი და დიდი ხელოვანები, რომელთა შორის დავასახელებ მომხიბლავი ხმის მქონე მადმუაზელ საბანეევას³⁰, ძალიან ლამაზ ტრაგიკოსს, ბატონ ტორსკის³¹. გავიცანი თბილისის კონსერვატორიის

²⁹ ევა ბრუნელი (1887-1927) – პირველი დირიჟორი ქალი საქართველოსა და მთელს რუსეთის იმპერიაში (იხ.: სალომე ჭანტურიძე. „ქალები გასული საუკუნიდან 1918-1921“. მომზადებული და გამოცემულია „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის“ (NCCE) მიერ).

file:///C:/Users/User/AppData/Local/Temp/Women%20from%20Past%20Century-2.pdf

³⁰ ტალია ივანეს ასული საბანევა (1895-?) – ოპერის მომღერალი, ლირიკულ-კოლორატურული სოპრანო, გამოდიოდა საოპერო სცენებზე პეტერბურგში, ბაქოში, თბილისში, ხარკოვში, მოსკოვში, ლისაბონში, ბარსელონაში, ვაშინგტონში, ნიუ იორკში.

³¹ ვლადიმირ თევდორეს ძე ტორსკი (1888-1978) – 1909 წლიდან მუშაობდა მსახიობად მოსკოვის ფ. ა. კორშის თეატრში, აგრეთვე რიგაში, ყაზანსა და თბილისში.

დირექტორი ბატონი ნიკოლაევი³²; კონსერვატორიაში 400-ზე მეტი მოსწავლეა: უნდა ითქვას, რომ თბილისის ახალგაზრდობა, ჩვენგან განსხვავებით, კონსერვატორიაში ხელოვნებისა და მუსიკალური განათლების სრულყოფისთვის დადის და არა შემდეგ თეატრში მოსახვედრად, როგორც ჩვენთან არის: თბილისში ხალხი ძლიერ არტისტულია. ბატონი ნიკოლაევი შეუდარებელი ვირტუოზი და ამასთან მომხიბვლელი კაცია. მე მეგობრული ურთიერთობები მქონდა გამოჩენილ მოქანდაკე ბატონ ნიკოლაძესთან; ის როდენის მოწაფე იყო და მას ვუმაღლით ძეგლის შექმნას დიდი ქართველი პოეტის, ჭავჭავაძის, საფლავისთვის.

M. Abouladzé, conservateur en chef du Musée d'ethnographie et d'archéologie de Géorgie, M. Sougoulchwili, son adjoint, amis du D^r Hambachidzé, m'ont fait les honneurs de leur musée si curieux, avec une science consommée et une grâce parfaite: j'ai vu là des collections d'armes, de costumes, d'objets d'art et une série de portraits de prototypes de la beauté géorgienne (106).

ექიმი ღამბაშიძის მეგობრებმა – საქართველოს ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის მუზეუმის მთავარმა მცველმა, ბატონმა აბულაძემ³³ და მისმა მოადგილემ, ბატონმა სონღულაშვილმა³⁴ პატივი დამდეს თავიანთი დიდი ცოდნითა და დახვეწილი თავაზიანობით. ასე საინტერესო მუზეუმში მე ვნახე იარაღი, კოსტიუმების კოლექციები, ხელოვნების ნიმუშები და ქართული სილამაზის პროტოტიპების პორტრეტების სერია.

Nous avons, cela va de soi, été reçus avec enthousiasme par la colonie française si heureuse de revoir des compatriotes venus travailler pour l'œuvre rayonnante et lointaine de la France. Je rappelle que les dames françaises de Tiflis nous offrirent un superbe fanion brodé de leurs habiles mains. Je ne puis citer tous ceux qui nous accueillirent; qu'ils m'excusent: mais je rappelle Mme Lauth et ses filles, chez laquelle on installa un office franco-russe, Mme Lauth qui reçut jadis, à Tiflis, mon ami Spont, l'écrivain «pyrénéiste» le plus compétent et le plus connu, Mme Massiou qui fut une mère pournos poilus, Mme Grillet, Mme Fanny Scheider qui font triompher, au Caucase, la suprême élégance des modes féminines de Paris, M. Tollet le doyen des Français de Tiflis, M. Berlemont, secrétaire du Consulat, M. Bernex, correspondant du Journal de Pétrograd, M. Léon, brave Auvergnat, qui en arrivant nous donna des renseignements si utiles et qui fait valoir, dans son magnifique restaurant, l'indépassable cuisine française: c'est le Vatel de Tiflis; la famille du lieutenant Morice, du brigadier Dumas, M. Lauzun, secrétaire le plus récent de l'Alliance française, véritable artiste qui connaît le Caucase «comme sa poche» selon l'expression consacrée. (108)

საფრანგეთის კოლონიამ, რომელიც გახარებული იყო კეთილი საქმის საკეთებლად საფრანგეთიდან ასე შორს ჩამოსული თანამომხმეების ხილვით, რა თქმა უნდა, აღტაცებით მიგვიღო. შეგახსენებთ, რომ თბილისელმა ფრანგმა ქალებმა თავიანთი მარჯვე ხელებით მოქარგული შესანიშნავი დროშა გვაჩუქეს. ყველას, ვინც მიგვიღო, ვერ დავასახელებ და ვთხოვ მაპატიონ. მე ვიხსენებ: მადამ ლუტს და მის ქალიშვილებს, რომელთა სახლში ფრანგულ-რუსული ოფისი იყო მოწყობილი; ადრე მადამ ლუტმა თბილისში ჩემს მეგობარ მწერალს, ყველაზე კომპეტენტურსა და ყველაზე ცნობილ „პირენეისტს“³⁵, სპონს, უმასპინძლა; მადამ

³² ნიკოლაი ნიკოლაევი (1869-1950) – პიანისტი, რუსული მუსიკალური საზოგადოების მოწვევით 1895 წელს თბილისის მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგად (ფორტეპიანო) დაინიშნა; 1902-1915 წლებში იყო თბილისის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი და პედაგოგი (ფორტეპიანო); 1917-1918 წლებში თბილისის კონსერვატორიის პირველი რექტორი; 1921 წლიდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა აშშ-ში.

³³ იუსტინე აბულაძე (1874-1962) – ფილოლოგი, ირანისტი და რუსთველოლოგი. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობის წევრი, ამავე საზოგადოების მუზეუმის გამგე.

³⁴ იროდიონ თომას ძე სონღულაშვილი (1880-1958) – მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ქიმიკოსი, ხელოვნების მუშაკი.

³⁵ ტერმინი „პირენეიზმით“ პირველად ფრანგმა ბიბლიოფილმა და გამომცემელმა, ანრი ბერალდიმ ისარგებლა თავისი თხზულების – „ასი წელი პირენეებში“ (1898) – პრეამბულაში. „პირენეიზმის“ კატეგორიაში არიან

მასიუს, რომელიც დედასავით იყო ჩვენი ფრონტელი ჯარისკაცებისთვის, მაძამ გრიესა და მაძამ ფანი შაიდერს, რომელთა წყალობით პარიზის ქალთა მოდის უმაღლესმა ელევანტურობამ კავკასიაშიც დიდ წარმატებას მიაღწია; ბატონ ტოლეს – თბილისელი ფრანგების მამასახლისს, ბატონ ბერლემონს – საკონსულოს მდივანს, ბატონ ბერნეს – „პეტროგრადის გაზეთის“³⁶ კორესპონდენტს, ბატონ ლეონს – მამაც ოვერნელს, რომელმაც ჩამოსვლისთანავე მოგვცა მეტად საჭირო ცნობები და რომელიც თავის შესანიშნავ რესტორანში სათანადოდ წარმოადგენს უბადლო ფრანგულ სამზარეულოს: ის თბილისის ვატელია³⁷; ლეიტენანტ მორისის ოჯახს, კაპრალ დიუმას, ბატონ ლოზანს – „ალიანს ფრანსუზის“ ახლად დანიშნულ მდივანს, ჭემმარიტ ხელოვანს, რომელიც „თავისი ხუთი თითივით“ იცნობს კავკასიას.

თარგმნა ირინე ნაჭყებამ

პირენეების „მკვლევრები“ – მეცნიერები, მწერლები, ალჰინისტები და გიდები, რომლებიც მონაწილეობდნენ პირენეების მასივის გაცნობას ან მისი მწვერვალების დაპყრობაში.

³⁶ 1914 წლიდან სანკტ-პეტერბურგს პეტროგრადი დაერქვა, ხოლო „პეტერბურგის გაზეთი“ («Петербургская газета») გამოდიოდა შემდეგი სახელწოდებებით: „პეტროგრადის გაზეთი“ («Петроградская газета»), „პეტროგრადის ცხოვრება“ («Петроградская жизнь»), „ახალი პეტროგრადის გაზეთი“ («Новая петроградская газета»). 1917 წლის მარტიდან გაზეთი მხარს უჭერდა დროებით მთავრობას. „პეტროგრადის გაზეთი“ დაიხურა 1917 წლის 22 ნოემბერს.

³⁷ შვეიცარიელი ფრანგი ფრანსუა ვატელი (1631-1671) ჯერ ნიკოლა ფუკეს, შემდეგ კი პრინცი კონდეს კარის მეტროლოტი იყო. იგი კვიტერინგის – საზოგადოებრივი კვების დამაარსებლად ითვლება.